წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | სამშაბათი, 26 აპრილი 1916 წ. | № 92

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ. დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**



ალექსანდრე სიმონის ძე, ვანო, ნინო, არჩილი და ბარბარე ალექსანდრეს ძენი მინდიაშვილები, გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას პირველის ძვირფასის მეუღლის, მეორე, მესამე და მეოთხე ძვირფასი დედის, ხოლო უკანასკნელის ძვირფას დედამთილის

## ეკატერინე გრიგორის ასულის მინდიაშვილისას

გამოსვენება მოხდება დღეს 26 აპრილს დილის 9 ნახ. საათზე საკუთარ ბინიდგან, ვერა კობიის გაუვალი № 11. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.
(1-163-1)

## სახალხო სახლი

**პარასკევს,** 29 **აპრილს** 1916 წ., სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრე **ელ. ჩერქეზიშვილის** 30 წლ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას. **წარმოდგენილი იქმნება:**
1) **ხანუმა,** 1, 3 და 4 მოქმ. კომ. ცაგარლისა.
2) **დედის-ერთა,** 1 მოქმ. ვოდ. გუნიასი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ანკარა, არჯევანიძე, გოდერძი, მჭედლიშვილი, ქართველიშვილი, **ელ. ჩერქეზიშვილი,** ბ. ბ. ანაშვილი, გოცირიძე, მერაბიშვილი, მეტრეველი, რომანიშვილი სოსო, ხახანაშვილი, ჯაბაური და სხვ.
**ადგილების ფასი** 2 მ. 10 კ.-დან 10 კ.-დე. **დასაწყისი საღამოს** 8 **საათზე.**
ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-დე და საღ. 6—8 ს.
რეჟისორი კ. შათირიშვილი.

## შეშის საწყობი
### ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
**საკუთარი ტყიდან**
**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“
### თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
### ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

# მოდური მაღაზია
## მ. ბაშარულისა
სასახლის ქუჩაზე
იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი
**მხოლოდ ევროპიული**
(—83—10)

## აბასთუმანი
### სასტუმრო „მინერალნია ვოდი“
გვაქვს კარგათ მოწყობილი 50 ოთახი და ვაძლევთ სეზონით და დღიურათაც.
სასტუმროს აქვს საუკეთესოდ მოწყობილი რესტორანი. მსურველთ შეუძლიათ დაიქირაონ წერილობით და დეპეშითაც. ქირა ზომიერია. შედარებით სხვა ადგილებზე, აბასთუმანში იაფია ყველაფერი.
სასტუმროს პატრონნი **ჩიკვაიძე და გეგიაძე.**

## ილია ჭავჭავაძის
### თხზულებათა გამომცემლობა
აუწყებს ხელის მომწერთ: ვისაც დაკვეთილი წიგნი არ მიუღია, დააჩქაროს მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამომცემლობა იძულებული იქნება წიგნი გაჰყიდოს. მსურველთ ეხლავე შეუძლიანთ შეიძინონ წიგნი ადგილობრივ გამომცემელთან (ყორღანოვის ქუჩა, № 20) თითო წიგნი ღირს **ათი მანეთი;**
10 **ცალი—რვა თუმანი** (80 **მან.**) (161)

## ვაგზლის საავადმყოფოში
(შეხინგტის ვაგზლის [illegible])
### საავადმყოფოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—21)

საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
### გიორგი ილიას ძის ჩუბინაშვილისა
**მისამართი:** ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.
(თ—81—7)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი,** 17—21.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**

**ექიმი-დოსტაქარი**
## ბ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**ექიმი**
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.


# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 23 აპრ. ოფიციალი. მდ. დვინის მიდამოებში მტერმა საარტილერიო სროლა გააცხოველა იკსკიულის სიმაგრეებთან და ფრიდრიხშტადტიდან აღმოსავლეთით. მტრის მფრინავები ზოგიერთ ადგილებში ყუმბარებს ყრიდნენ. იაკობშტადტის და დვინსკის მიდამოებს შუა ჩვენმა ზარბაზნებმა მტრის თოფ-იარაღი ააფეთქა. სამხრეთ-აღმოსავლეთით მედმურის ტბიდან მოულოდნელად შეუტიეთ და გერმანელების თხრილი ხელთ-ვიგდეთ. ჩრდილოეთ-დასავლეთით კროშინიდან საღამოთი 21 აპრილს მტერმა იერიში მიიტანა სოფ. დუბროვკაზე. შეტევა მომზადებული იყო ზარბაზნების სამი საათის სროლით. ჩვენი ჯარი გერმანელებს კონტრ-იერიშებით შეჰხვდა. გერმანელები გაიქცნენ, მათ მრავალი დახოცილ-დაჭრილი და თოფ-იარაღი დასტოვეს. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩარტორიჯსკიდან ჩვენმა მზვერავებმა მტრის მცველებს შეუტიეს ხიშტებით და ტყვეები წამოიყვანეს. სად. ოლიკიდან სამხრეთით ჩვენმა მზვერავებმა მტერი ტყიდან გასდევნეს, რომელიც სოფ. ჟერნიშჩედან აღმოსავლეთით იმყოფებოდა. მურავიცის მიდამოებში, ჩვენი მფრინავი მტრის ორ მფრინავს შეებრძოლა. ნახევარი საათის ბრძოლის შემდეგ მტრის ერთი მფრინავი იძულებული იყო თავიანთვე ადგილას ჩამოშვებულიყო, მეორე კი დაიმალა.

**კავკასიის ასპარეზი.** ერზინჯანის მიმართულებით მტრის შეტევა, რომელიც არტილერიით დაამზადა, მოვიგერიეთ. ბაღდადის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ხიშტებით შეუტია ოსმალთა სიმაგრე სოფ. მალკერინდთან. დამცველები შევმუსრეთ და სიმაგრეც ხელში ვიგდეთ.

**პეტროგრადი.** 24 აპრილი. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. სად. კოკენჰუზენის მიდამოებში, ფრიდრიხშტადტიდან აღმოსავლეთით, მტრის ზარბაზნებმა ჩვენს მატარებლებს დაუშინა. გალიციაში სტრიპაზე აიზლოვეციდან ჩრდილოეთ მიდამოებში, ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის მიმართულებით ოსმალთა იერიშს ადვილად ვიგერიებთ. ბაღდადის მიმართულებით სერმალ-ყარსის სიმაგრეების დაპყრობის დროს, ოსმალები ძლიერ დაზარალდნენ და საჩქაროთ უკან დაიხიეს. ბრძოლის ველზე დიდძალი იარაღი [illegible] ალების დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ 8 სანაპირო ზარბაზანი, 14 ზარბაზანი 6 დიუმიანი და ერთი საველე ზარბაზანი. 1000 თოფზე მეტი, 53 ყუთი ტყვია წამალით და სხვა მრავალი დოვლათი.

—

**პარიზი,** 22 აპრილი. ოფიციალი. საღამოს ცნობა. უამინდობა მოქმედებას ხელს უშლიდა. ასპარეზის მომეტებულ ნაწილზე მხოლოდ საარტილერიო ბრძოლაა. მაასიდან დასავლეთით საარტილერიო ბრძოლამ მკაცრი იერიშების ხასიათი მიიღო მთელი დღის განმავლობაში „304“ სიმაღლესთან. ავოკურის და კორეტის ტყეებთან განუწყვეტელი ზარბაზნების სროლაა. აღმოსავლეთით მაასიდან და ვევრთან სუსტი საარტილერიო ბრძოლაა.

სამხედრო მოქმედება ახლო აღმოსავლეთით. ღამე 22 აპრ. სოლუნს ზემოდ მტრის „ცეპელინი“ გამოჩნდა, რომელიც მოკავშირეთა ფლოტმა დააზიანა. „ცეპელინს“ ცეცხლი გაუჩნდა და ვარდარის შესავალთან ჩამოვარდა.

**ჰავრი,** 23 აპრილი. ბელგეთის ცნობა. გათენებიდან გერმანელებმა მკაცრი საარტილერიო სროლა ასტეხეს სტეენსტრეტედან ჩრდილოეთით და დიკსმიუდესთან, რამაც სასტიკი საარტილერიო ბრძოლა გამოიწვია. აქ ყველა ზარბაზნები ამოქმედდნენ. ჩვენშა ზარბაზნებმა მრავალ ადგილას მტრის სიმაგრეებს შესამჩნევი ზიანი მიაყენეს.

**პარიზი,** 23 აპრილი, ოფიციალი. დღის ცნობა. ლასინის მიდამოებში ჩვენ იერიში მივიტანეთ მტრის თხრილებზე ტყესთან. აქ მტერი დავაზარალეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

შამპანში სომპის მიდამოებში ჩვენმა ზარბაზნებმა მტრის ზარბაზანი ჩააჩუმა. აღმოსავლეთით ვინარვილიდან გუშინ ჩვენ მოულოდნელად შეუტიეთ მტრის გამოწეულ ბრძოლის ხაზს, შევიჭერით მათ თხრილებში და ტყვეები და ორი ტყვიის მტყორცნელი ხელთ ვიგდეთ.

„304“ სიმაღლის მიდამოებში, მაასიდან დასავლეთით მტერმა მძიმე ზარბაზნები დაუშინა, აქვე სულის შემხუთველ გაზებს ხმარობდნენ. ჩრდილოეთით ნაწილი თხრილებისა გავანთავისუფლეთ, რადგანაც მტრის ზარბაზნებმა სულ მიანგრ-მოანგრია. ჩვენი ზარბაზნები უპასუხებდნენ მტერს, რამაც ხელი შეუშალა წინ წაწეულიყო.

დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით „304“ სიმაღლიდან მტერმა ღამე იერიში მოიტანა, რომელიც კონტრ-იერიშით მოვიგერიეთ. გამოირკვა, რომ „304“ სიმაღლიდან იერიშის დროს მტერმა ახლად მოსულ ჯარს მიაღებინა მონაწილეობა, რომელიც ძლიერ დაზარალდა. მორტჰომ-კიუმერის ხაზით ზარბაზნის ჩვეულებრივი სროლაა. მაასიდან აღმოსავლეთით ვოს მიდამოებში გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა.

**საზღვაო შტაბის ცნობა.** 21 აპრ. ფრანგთა წყალქვეშამ „დერნულიმ“ ადრიატიკის ზღვაში ახალი ტიპის ავსტრიის ნაღმოსანი ჩასძირა. წყალქვეშამ მოიგერია კონტრ-ნაღმოსნის და ნაღმოსნის იერიშები.

**პარიზი,** მაასის მარცხენა ნაპირს ჯოჯოხეთური ბრძოლაა, რომელსაც ვერ შეედრება არც ერთი ვერდენთან მომხდარი სისხლის ღვრა. ჯერ არ სმენილა ყუმბარათა ასეთი მოქმედება როგორიცაა „304“-ის სიმაღლეზე.

ჩვენ დავკარგეთ ზოგიერთი თხრილები, რადგანაც მათი დაცვა შეუძლებელი იყო ასეთს ცეცხლში და სულის შემხუთველბოლის მოქმედებაში. დაკარგული თხრილები მტერმა ვერ დაიჭირა, რადგანაც ჩვენმა არტილერიამ ახლო არ მიუშვა. ამისთვის „304“ სიმაღლე წარმოადგენს სრულს ნეიტრალ ხაზს. მებრძოლთა შორის გერმანელები იმყოფებიან მთის ძირს, ხოლო ფრანგებს უჭირავთ მისი მწვერვალები. მტერმა ტყიდან სცადა რამდენჯერმე იერიში მიეტანა „304“ სიმაღლის დასავლეთით, მაგრამ უკუ ვაგდეთ 23 აპრილს მტერმა საშინელი საარტილერიო ცეცხლი გააჩინა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი.**

„რუს. ინვალ.“ სწერს: უკანასკნელი ცნობებით ვგებულობთ, რომ გერმანეთი დიდ მზადებაშია და ეჭვს გარეშეა რომ არ ამოქმედდეს ზამთრის შესვენების შემდეგ; მთელი მათი ყურადღება მიპყრობილია ჩრდილოეთ ასპარეზისაკენ, საცა დიდი იმედი აქვთ გამარჯვებისა. გერმანეთის ფლოტი დიდი ხანია ემზადება და რიგასთან წყლის გარღვევას ლამობს, ამის სისრულეში მოსაყვანათ მებრძოლ გემებს ლიბავასთან უკვე თავი მოუყა-

რეს. აპრილის დასაწყისში მთელი კვირის განმავლობაში ლიბავასთან ფლოტით მძიმე არტილერია გადმოზიდეს. შესაძლებელია, აქვე ავსტრიელთა მძიმე ზარბაზნებიც აქვთ. კენისბერგის და სხვა ციხეების ზარბაზნები ლიბავის რკინის გზით რიგა-დვინსკის ასპარეზზე გადაიტანეს: ზღვითვე მრავალი ტყვია-წამალი გადმოიტანეს და კუროპატკინის არმიის მხრისაკენ ჰგზავნიან. ჰინდენბურგი ლამობს ამოქმედებას დვინის და ბალტიის ზღვის ნაპირებთან და შემზარავ ზარბაზნების სროლით უნდა საჭირო ადგილებიდან გაგვდევნოს.

**რიგის ასპარეზი.**

პეტროგრადიდან მოსული ცნობით, რიგის ასპარეზზე მალე მკაცრი ბრძოლა გაჩაღდება. ამ ადგილებში, ადვილი შესაძლებელია, მოულოდნელად დაიქქოს ზარბაზნებმა, რასაც სასტიკი ბრძოლა მოჰყვება. პირველად რომელი მხარე ამოქმედდება არავინ იცის, რადგანაც ორთავ მოპირდაპირე მხარე ამ ასპარეზს ჯეროვან ყურადღებას აქცევს, გერმანელები ბარანოვიჩის რკინის გზას დიდ ყურადღებას აქცევენ, რადგანაც მას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ოლიკთან მოქმედებას სამხედრო პირები დროებით ხასიათს აძლევენ. აქ გერმანელები ბრძოლის ხაზის გასწორებაზე ფიქრობენ, ვიდრე რამე დიდ მოქმედებაზე.

**საბერძნეთი.**

საბერძნეთში დაარსდა ახალი სამხედრო კავშირი შტაბის და სამხედრო მინისტრის მეთაურობით. მან უკვე საკმაო თანაგრძნობა მოიპოვა საზოგადოებაში და ადგილობრივი გაზეთებიც ხელს უწყობენ. კავშირის მიზანია—მედგრად ებრძოლოს ლიბერალთა ბელადს—ვენიზელოსს და მისს თანამოაზრეთ. ამბობენ, კავშირის დაარსებამ, დიდი უთანხმოება გამოიწვია მცხოვრებთა შორისო.

**ეგვიპტე.**

„ბეჭვდითი ბიურომ“ ამ დღეებში გამოაქვეყნა ახალი ცნობა: უდაბნოს ჩრდილო ნაწილებში მდგომარეობა ჩვეულებრივია, ხოლო დანარჩენ ადგილებში მზვერავნი მოქმედებას განაგრძობენ. ამ დღეებში მათ დიდძალი მტრის ყუმბარა იგდეს ხელთ და გააფუჭეს ორი გერმანული მანქანა—უმავთულო ტელეგრაფისა.

მოჰარა, აიღეს ინგლისის ჯარებმა და კარგადაც გაამაგრეს, რაც შეეხება ქარგის, იგიც სავსეა ინგლისელ-ეგვიპტელთა ჯარებით და ითვლება მზვერავთა მოქმედების ადგილად.

ბაჰარამში მტრის პატარა რაზმი მოქმედობს და დიდადაც აზიანებს მკვიდრთ ძარცვა-მკვლელობით. როგორც ბაჰარამიდან გამოქცეულები ჰმოწმობენ, იქ სახადია გავრცელებული.

**გერმანეთი და ოსმალეთი.**

როგორც „რუს. ვედ.“ საკ. კორესპონდენტი იტყობინება კოპენჰაგენიდან, გერმანეთს აუსრულდა დიდი ხნის სურვილი და ოსმალეთთან შეჰკრა ახალი შეთანხმება, რომლის ძალით ორივე სახელმწიფოს ქვეშევრდომთ სრული მოქალაქეობრივი უფლება ეძლევათ. ეს ახალი შეთანხმება, დიდად შეუწყობს ხელს გერმანეთს და გააბატონებს კიდეც ოსმალეთის ეკონომიურ ცხოვრებაში. როგორც „ვოლფის სააგენტო“ იტყობინება, მოლაპარაკების სისრულეში მოყვანა ახლო მომავალში მოხდება.

**ჰოლც ფაშას სიკვდილი.**

„Jornal des Balcanes“ სიტყვით ტყუილი გამოდგა ცნობა ჰოლც-ფაშას სახადით გარდაცვალების. საბედისწერო დღეს, 1 აპრილს, ჰოლც-ფაშა, კაბინეთში მუშაობდა. საღამოს 6 საათზედ მიიღო ალი-აბდულაჰი, ადიუტანტი ანატოლიის მე-17 პოლკისა. მცირე ხნის საუბრის შემდეგ, ალი აბდულაჰიმ სამი ტყვიით განგმირა გერმანელი ფელდმარშალი და მიიმალა.

მკვლელი ეკუთვნის ახალგაზდა ოსმალთა ჯგუფს, რომელიც სასტიკს ბრძოლას უცხადებს გერმანელთა ძალმომრეობას. დროებით, ჰოლც-ფაშა დასაფლავებულია სტამბოლში, გერმანელთა საელჩოს ზალაში; ომის გათავებისას კი გადაიტანენ გერმანეთში.

**საფრანგეთში.**

პარიზის გაზეთები აღარ ჰმალავენ, რომ გერმანელები დაიწყებენ ახალ მოქმედებას, რომლითაც უნდა დაჰფარონ ვერდენის ზარალი. „Temps“-ი აფრთხილებს ფრანგებს: მტრის მოულოდნელ შემოტევისგან და ურჩევს. ყოველთვის იყვნენ მზად და ნურც აჩქარდებიან, რადგანაც დაჩქარებას—დამარცხება მოსდევს! „ნაპოლეონი—ამბობს გაზეთი—ბრძოლის წინ, დიდ ღირებულებას აძლევდა მტრის ძალას და თავისას კი ამცირებდა. ჩვენც გვმართებს მიბაძვა, რაც გამარჯვების საშუალებას მოგვცემს.

**ირლანდიაში.**

ირლანდიაში აჯანყებულები დაჰნებდნენ. 18 აპრილს, შეიპყრეს 1,000 კაცი, მათგან 489 კაცი ტყვეთ ინგლისში გაგზავნეს. მეამბოხეთ თეთრი ბაირაღიააფრიალეს, რის შემდეგაც ჯარმა შეაჩერა სროლა. მეამბოხეთა პრეზიდენტმა პირსმა შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „თავიდან ავიცილოთ უიარაღო ხალხის ჟლეტა, მოუწოდებთ ჩვენს მიმდევართ, დაჰნებდნენ მთავრობას თავიანთი წინამძღოლებით. მეამბოხენი დასთანხმდნენ და დანგრეულ ფოსტასთან მოხდა დრამატიზმით სავსე კაპიტულიაცია.

**სერბეთის დანაწილება.**

პეტროგრადში მოვიდა დეპეშა, რომლითაც იტყობინებიან სერბეთის დანაწილებას ავსტრია-ჰუნგრეთსა და ბულგარეთ შორის. ამ ცნობის მიხედვით ბულგარეთს წილად 45,000 კვადრ. ვერსი შეჰხვედრია, ავსტრია-ჰუნგრეთს კი 60,000 ეს ადგილები შემდეგ ნაირად განისაზღვრება. მდინარე მორავა ჰყოფს შუაზე სერბეთის მიწაწყალს. ბულგარელების საზღვარი მდ. მორავის მარჯვენა მხრით ოსირანიციდან პოჟარივაცამდე მიდის. ამ უკანასკნელ ადგილიდან საზღვრის ხაზი ხმელეთით იწყობა ლაპოვო-სვილაინაცის შუა იაკონვეინ-ასინრიას მიმართულებით კრუშევაჩ-სტალაჩამდე. ყველა ქალაქები, მდინარის იქითა ნაპირისა მცირე რიცხოვანია, ეს ადგილები ბულგარელებს დარჩათ. ამ ადგილებში თითო ქალაქი 15-20 ათასი მცხოვრებით განისაზღვრება. ამ ადგილებში მცხოვრებნი სერბებია, მათი უმრავლესობა ვაჭრობას მისდევს. სერბეთის ეს ნაწილი ყველაზე ნაყოფიერია.

სერბეთის მეორე ნახევარი, რომელიც ავსტრია-ჰუნგრეთს ჰხვდა წილად მთიან ადგილს წარმოადგენს, სივრცით ეს ადგილი ბულგარეთისაზე მეტია. ეს ადგილები მადნეულობით ძლიერ მდიდარია, ალაგ-ალაგ ტყიანი ადგილებიც არის.

დღეს-დღეობით სერბეთის მკვიდრ მცხოვრებთ 5 მილიონი კაცი შეადგენს.

**რუმინეთი.**

როგორც ვიცით, რუმინეთ-ოსმალეთს შორის კიდევ ახალი სავაჭრო ხელ-შეკრულობაა.

ხელ-შეკრულობას იმდენი სარგებლობა არ მოაქვს რუმინეთისთვის, რადგანაც ოსმალთა ნაყოფიერი ადგილები დაჰკარგეს დანარჩენ ადგილებშიც მასაზრდოებელი აღარაფერია.

ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს განუცხადებია „რუსკ. სლ.-“ კორესპონდენტისთვის. გერმანელებმა ყველაფერი გაზიდეს ოსმალეთიდან და როდესაც ახალგაზდა ოსმალთ იგრძნეს, კარზე მომდგარი უბედურობა საჩქარო დახმარება სთხოვეს გერმანეთს და გერმანეთმა ოსმალეთის კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, ეკონომიური ხსნა რუმინეთს მიანდო.

ამიერიდან, ოსმალები რუმინეთიდან გამოიტანენ საჭირო სურსათს, ხოლო რუმინეთი, ჯერ კიდევ ისარგებლებს რუსეთიდან შემოტანილ საქვებით. ოსმალეთ-რუმინეთის ხელშეკრულებას გარდა ეკონომიური ხასიათისა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაცა აქვს. გერმანელები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ხელშეკრულობას და ამბობენ: ამგვარი პირობები განამტკიცებს რუმინეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

**კუტ-ელ-ამარი.**

ინგლისელები ამბობენ: ჩვენ დიდი ხანია ვფიქრობდით იმაზე, თუ როგორ დააღწევდა თავს გენერალი ტოუნსენდი ტიგროსის ჭაობიან ადგილებს. ვითვალისწინებდით რა მომწყვდეულ ჯარის მძიმე პირობებს, ნათლად ვხედავდით დამარცხებას.

# ბრძოლის ველზე

**ვერდენის გარშემო**

ასე არეულ-დარეული ცნობები, ანარქიული მდგომარეობა, რაიც არსებობს დღევანდელ დეპეშათა საგენტოთა გამო, ყოველისფერს აღემატება. ჰავასის დეპეშათა სააგენტო და ხშირად თვით მთავარ შტაბის დასტური მხოლოდ იმას ჰგულისხმობდა, რომ ვერდენთან მართლა საქმე მორჩომილიყო, გერმანელთა იერიშებზე ფიქრი არავის უნდა ჰქონოდა. სხვა რომ არა ვთქვათ რა, საკმარისია გავიხსენოთ საფრანგეთის მთავარი შტაბის მოხსენება, სადაც მოკლედ განხილული იყო კრონპრინცის 2 თვის იერიშების რეზულტატები. ვერდენის ოპერაცია მომხსენებლის სიტყვით ოთხს უმთავრეს ფაზად იყოფებოდა. პირველ ფაზაში გერმანელები შეუტევენ ვერდენს იმ მიზნით, რომ ელვის სისწრაფით აეღოთ იგი. მეორე ფაზა იწყობა დუომონის ფორტის გარშემო იერიშებით. მესამე ფაზა მთელს ფრონტზე შეტევა, როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით, ხოლო მეოთხე ფაზა უკვე დაცხრომის პერიოდია, გერმანელები აღებულ პოზიციების შეფასებით კმაყოფილდებიან და ნელ-ნელა ბრძოლის პირის შესწორებასა სცდილობენო. ბრძოლის პირის შესწორებას ჰავასის სააგენტო ოპერაციის ლიკვიდაციად სთვლიდა. შემდეგ ამ ათი დღის განმავლობაში, თითქოს მთავარი შტაბის ნათქვამის დასადასტურებლად, მართლაც მეტად საიმედო ამბები მოდიოდა. არც ერთი ბიულეტენი პესიმისტურ ჰაზრს არ შეიცავდა. პირიქით, მხიარული ტონი და დაბეჯითებული კილო ყველაფრით გვაიმედებდა, რომ ინიციატივა ახლა ფრანგთა ხელში უნდა გვეგულებოდა გადასული. გერმანელებიო, ვკითხულობდით ერთ-ერთ მოხსენებაში, ახლა თავიანთ ხალხს აჯერებენ, რომ „ციხის აღება არ გვაინტერესებს, ცოცხალი მასა გვყავდა მხედველობაში და მათს გაჟლეტას უნდებოდითო“. ესეც ერთგვარი საბუთი იყო საზოგადოების გასასამართლებლად. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელს ამ ხანის განმავლობაში ფრანგთა ჯარები დიდს აქტივობას იჩენდნენ. სხვა რომ არა ვსთქვათ რა, გავიხსენოთ „269“ მაღლობის დაბრუნება, ამასთანავე მორტჰომის მაღლობიდან თხრილების დაბრუნება და თითქმის ყოველ დღიურად ას და ორას კაცის დატყვევება. შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს გერმანელები მართლა იხევენ, თუ რამ იერიშები მიაქეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაუკლან ფრანგთა ჯარებს თვით სურვილი ინიციატივის ხელში ჩასაგდებადო. ამასთანავე, საგულისხმიეროა ის ამბავი, რაიც ფრანგთა სააგენტომ თვითონვე გაავრცელა: ვერდენიდან გერმანელებს სადღაც გადაჰყავთ ჯარები და თან მძიმე არტილერიაც გადააქვთო. მაგრამ არ გამართლდა ყველა ეს, თურმე ნუ ბრძანებთ, ყველა ეს განგაში ხმები ყოფილა. გერმანელთ არა თუ არსად წაუყვანიათ ჯარები, პირიქით, თუ დღევანდელ მოხსენებას დავუჯერებთ, კიდეც გაუმრავლებიათ თითქმის მთელი დივიზიით და აუარებელი მძიმე არტილერიაც მოუზიდნიათ. „უსასტიკესი და ჯერ არ ნახული იერიშები მოიტანეს გერმანელებმაო“, ასე ამბობს დღევანდელი დეპეშა ოფიციალი სახით. სურათი შემზარავია გარდაშლილი. „304“ მაღლობი, სადაც აგერ რა ერთი ხანია საარტილერიო სროლა არყევდა მყუდროებას, ეხლა მხოლოდ გადახნულ და სისხლით მორწყულ გორაკს წარმოადგენს. განმეორდა იგივე ისტორია, რაც იყო დუომონის ფორტის დაცემის დროს. ასეთი „არნახული იერიში“ და „უსასტიკესი“ სროლა განსაკუთრებით სწორედ მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც საზოგადოებრივი მოლოდინი მიძინებულია და გულიც დამშვიდებული გვაქვს, ეხლა აღარაფერი საშიში არა გვაქვსო. ფრანგებმა დასცალეს „304“ მაღლობი. მისი აღება განცვიფრებას იწვევს თვით ფრანგთა შტაბის მომხსენებლის თვალში; „ამ შესვენების დროს მტრის მიერ ასეთს სასტიკ ბრძოლის საშუალებათა მოხმარებას არ შეიძლება განცვიფრებით არ შევხედოთო“. ყველა ეს ჰმოწმობს, რომ გერმანეთი კიდევ ძალაშია, არა თუ ვერდენთან, არამედ თვით მეორე მხარეს, ლოოსისა და იპრის მიმართულებით, სადაც „ტაიმსის“ სიტყვით ნახევარი მილიონი გერმანელი ჯარი სდგას სამი ათასი უმძიმესი ზარბაზნით და ფართო ლაშქრობის მოლოდინში უნდა ვიყოთო. თუ ამას დავუმატებთ რუსეთის ასპარეზსაც, თუ გავიხსენებთ საზოგადოდ რიგა-დვინსკის ხაზის მოლოდინს, სადაც დღე დღეზე მოელიან გერმანელთა იერიშებს, მაშინ მწუხარებით უნდა დავსძინოთ, რომ მტერი, დიახაც, ძალაშია, მის ჯავშნიან მუშტის დამსხვრევა მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შეიძლება, როგორც ამას დაგვპირდა გენერალისიმუსი ჟოფრი ომის დაწყებისას: ხანგრძლივი იქნება ომი, მაგრამ უეჭველიო! მაგრამ როდის იქნება ეს „უეჭველი“ საათის ჩამოკვრა, ალაჰმა უწყის!

X.

## ტფილისი, 26 აპრილი.

**თათბირი ერობის შესახებ.**

დღეს, საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში, გაიხსნება თათბირი ჩვენს ქვეყანაში ერობის შემოღების შესახებ. ჩვენი საზოგადოებრივი ძალების მიერ მრავალჯერ აღძრული შუამდგომლობანი, თვით მთავრობის მიერ წინეთ მოწვეული საერობო თათბირები და საეროთოდ ნახევარი საუკუნის მოლოდინი გვირგვინდება იმ ფართე ხასიათის საერობო თათბირით, რომელსაც იწვევს თბილისში კავკასიის მეფის ნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. როგორც ამ თათბირის მოწვევის მაღალი თაოსნობა, ისე დღევანდელი განსაკუთრებული მომენტი, როდესაც სავსებით გამოაშკარავდა ჩვენი ქვეყნისთვის საერობო თვითმმართველობის უაღრესი საჭიროება, იმედს უნდა გვაძლევდეს, რომ დღეს დაწყებული საერობო თათბირის მუშაობა უქმად არ ჩაივლის და ჩვენს ქვეყანაში დიდის ხნის წინეთ დაწყებული წინასწარი საერობო მზადება, მახლობელ მომავალში საერობო თვითმმართველობის შემოღებით დამთავრდება. საერობო თათბირს აუარებელი მასალა მოეპოვება ამ საკითხის შესახებ. მასალა საზოგადოებრივ ძალთა, თუ მთავრობის წარმომადგენელთა ცალ-ცალკე თუ ერთად დამზადებული. საერობო თათბირი, იმედი გვაქვს, ანგარიშს გაუწევს ყოველივე ამას და ბლომად დაგროვილ მასალებიდან ამოჰკრებს იმას, რომელიც უფრო შეეფერება ჩვენი ქვეყნის საჭიროებას და საერობო რეფორმის შემოღებას შორეულს მომავლისთვის არ გადასდებს. მთავრობის სურვილს ჩვენი საზოგადოება უკვე იცნობს. კავკასიის საერობო კანონი მთავრობის აზრით, უნდა ემყარებოდეს რუსეთში მოქმედ საერობო კანონს, 1890 წლის 12 ივნისის საერობო კანონს. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რამდენად საძნელოა, რომ რუსეთის მთავრობამ ჩვენ მოგვცეს იმაზედ უკეთესი კანონი, რომელიც რუსეთში მოქმედობს. ყოველივე ეს მხედველობაში არის მისაღები, მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს იმ მოელენას, რომ რუსეთის საერობო კანონი, თუ მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქმნა შეტანილი, ჩვენი ქვეყნისთვის სრულიად გამოუსადეგარი დარჩება. იმედი გვაქვს რომ საერობო თათბირის მონაწილენი და თვით კავკასიის უმაღლესი მთავრობა შეეცდებიან ისეთი საერობო კანონპროექტის შემუშავებას, რომლის დაუყოვნებლივი შემოღება შესაძლებელი იქნება და ამასთანავე ჩვენი ცხოვრების რეალ საჭიროებებზე აგებული.

---

**ზოგიერთი სახელმძღვანელო მოსაზრება.**

ბევრია ისეთი საქმე, რომელიც ჩვენთვის ერთნაირად გამოსადეგი და მნიშვნელოვანი იქნება იმისდა მიუხედავად, თუ რანაირი იქნება არსებობის პირობები, რომელშიაც ქართველი ერი ჩადგება ახლო მომავალში. ერთი ასეთი საქმეთაგანია, მაგალითისთვის რომ ავიღოთ, სკოლისა და მასწავლებლის საკითხი. დავრჩებით იმ მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით, თუ გარემოებისა და დრო და ჟამის ლოლიკა ჩვენც აგვისრულებს გულის წადილს და მოგვანიჭებს ჩვენი თავის მართვის უფლებას ამგვარი საკითხის ამ თავითვე ეროვნული თვალსაზრისით გაშუქება და გადაჭრა, ერთნაირად სასარგებლო იქნება, როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეშიც. ჩვენ შემთხვევას ისე არ გაუშვებთ, რომ არა ვსთქვათ, აუცილებელია ყოველდღიური ჩვენი ნაბიჯი და საქმიანობა ეროვნული ღირებულების თვალით იზომებოდესო. ბრძოლა იმაში მდგომარეობს და მეცნიერებაც ის გახლავთ, რომ არსებულ პირობებში ისეთი ხვრელები და სასულეები გამოსძებნო, რომ პირადი ინიციატივა და ძალა-ენერგია ისეთ საქმეს ხმარდებოდეს, ან ამა თუ იმ საქმეს ისეთნაირად მოახმარო რომ მას ეროვნულ-კულტურული ღირებულება არსებითად აუცილებლად თან სდევდეს, ხოლო საცა ეს ღირებულება რამოდენიმეთ უჩვენოთაც შენახული იქნება, იქ რაც შეიძლება მეტი

# საერობო თვით-მმართველობა

ყველა დაწინაურებულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივ ერთეულებს—ქალაქს თუ სოფელს—ენიჭება ერთგვარი თვითმართველობა, შინაური ცხოვრების მოწესრიგების თავისუფლება. ასეთი თვითმართველობები სხვა და სხვა სახელმწიფოებში სხვა და სხვა ძალით თუ მნიშვნელობით არის აღჭურვილი. ხშირად ერთს სახელმწიფოშიაც თავსდება რამოდენიმე გვარი ასეთი დაწესებულებისა. მაგალითად რუსეთის ცხოვრებაში საერობო თვითმმართველობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს საქალაქო თვითმმართველობას, რომელიც შეეხება ქალაქების შინაურ განწყობილებას. საერობო თვითმმართველობა უფრო ფართე ხასიათისაა. სადაც კი მოქმედობს ის, მთელს სახელმწიფოს ნაწილს იმწყვდევს თავის ფარგალში, ქალაქი, დაბა თუ სოფელი ერთნაირად შედიან საერობო თვითმმართველობაში. თვითმმართველობის ძირითადი საფუძველი საზოგადოდ ის არის, რომ სახელმწიფო თავის უფლებით ანიჭებს რომელიმე ერთეულს განსაზღვრულ ფარგლებში თავისუფალის მოქმედებისას, თანახმად მისი მიზნებისა და საჭიროებისა. ამრიგად სახელმწიფოში იბადება სავაჭროსამრეწველო, სამეცნიერო თუ სხვა საზოგადოებების თვითმმართველობა. ასეთივე ხასიათისაა რუსეთის საქალაქო და საერობო თვიმმართველოებები, რომელნიც უფრო ფართე საზოგადოებრივ წრეებს აერთებენ.

**ერობა რუსეთში.**

რუსეთში საერობო თვითმმართველობა ყველა გუბერნიებში არ არის შემოღებული. ცენტრალ რუსეთში ის 1864 წლიდან მოქმედობს, განაპირებს კი, დღემდის არ ღირსებია. ამ მოკლე ხანში სახელმწიფო სათათბირომ გამოთქვა სურვილი მისი დაჩქარებით შემოღების შესახებ ციმბირში, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ ჟამად ამის შესახებ თბილისში საერობო თათბირია მოწვეული და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საერობო თვითმმართველობა ჩვენს ქვეყანასაც მალე ეღირსება. თვით შიდა რუსეთში ერობა შემოღებულ იქმნა თანახმად 1864 წლის საერობო დებულებისა. ეს კანონი შესცვალა შემდგომ 1890 წლის 12 ივნისის კანონმა, რომელიც დღემდის მოქმედობს. უმთავრესი საფუძვლები საერობო დებულებისა ძალაში დარჩა, ხოლო ახალმა კანონმა საერობო თვითმმართველობაში წოდებრივობა გააძლიერა და ამას გარდა დიდათ შეზღუდა საერობო ერთეულების თავისუფლება და ერობა მთავრობის ორგანოებს უფრო მტკიცედ დაუქვემდებარა. მომქმედი საერობო კანონი რუსეთის მოწინავე საზოგადოებას, რასაკვირველია, აღარ აკმაყოფილებს და ყოველ მხრიდან მის შეცვლას და საერობო თვითმმართველობის ძირითად რეფორმებს მოითხოვენ. მიუხედავად ამისა რუსეთს ამ მეტად დაბალი ხარისხის თვითმმართველობამ დიდი სამსახური გაუწია. ერობამ დიდათ გააუმჯობესა რუსეთის სოფლის ცხოვრება. მეურნეობის გაუმჯობესებით, სახალხო სწავლა-განათლების გავრცელებით მან გააძლიერა რუსეთის სოფელი ეკონომიურად და კულტურულადაც. ჩამორჩენილია დღესაც რუსეთი და დიდად ჩამორჩენილი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე. მაგრამ შეუდარებლად დაქვეითებული იქნებოდა მისი საერთო სახელმწიფოებრივი ვითარება, რომ მას ამ ნახევარი საუკუნის წინად ერობა არ შემოეღო.

**ერობის მიზანი.**

საერობო თვითმმართველობის მუშაობა, საერობო კანონის შემთხვევლების აზრით მეურნეობის გარშემო უნდა ტრიალებდეს და მაშასადამე ის უნდა აერთებდეს იმათ, ვინც დაინტერესებულია კუთხის ეკონომიურ ვითარების გაუმჯობესებაში. საერობო ბეგარები, საერობო ქონება, გზები, ხიდები, საავადმყოფოები თუ სხვა სამკურნალო დაწესებულებები, ფოსტა, საქონლის ექიმობა, ცეცხლისგან დაცვა, სახალხო სწავლა-განათლება, ხელის შეწყობა მეურნეობისა, მრეწველობისა და აღებ-მიცემობისა—აი ის მიზნები, რომელსაც ისახავს საერობო თვითმართველობა. ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ განვითარებაში დაინტერესებულ პირთა მიერ არჩეული მმართველობა, საერობო კანონის მიერ მინიჭებულ უფლებათა ფარგალში თავის ნებაზე აწყობენ თავის შინაურს ცხოვრებას. გაყავთ გზები, აშენებენ სკოლებს და საავადმყოფოებს და სურსათით ეხმარებიან გაჭირვებულთ. ამ მიზნებს ანხორციელებს საზოგადოება წარმომადგენლების საშუალებით.

**საერობო ერთეულები.**

საერობო თვითმმართველობა ორნაირია—სამაზრო და საგუბერნიო. როგორც მიზნები, ისე უფლებებიც მათ თითქმის ერთნაირი აქვთ, მხოლოდ სამაზრო ერობა მაზრას მსახურებს და საგუბერნიო კი ყველა მაზრების საერთო საჭიროებებს აკმაყოფილებს, ანუ ისეთს მაზრებს ეხმარება, რომლებსაც ეს დასჭირდებათ. სამაზრო და საგუბერნიო ერობა მაზრის და გუბერნიის ადმინისტრატიული ფარგლებით იზღუდება. საერობო მუშაობაში უფლებებით აღჭურვილი ორგანოებია სამაზრო საერობო კრება და ასევე საგუბერნიო საერობო კრება. სამაზრო კრების ხმოსნებს მესაკუთრენი ირჩევენ სამის წლის ვადით. საგუბერნიო საერობო კრების წევრებს კი სამაზრო კრებები ირჩევენ თავიანთ შორის. როგორც სამაზრო კრებებში, ისე საგუბერნიო კრებაში მონაწილეობას ღებულობს რამოდენიმე სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენელი და აგრეთვე ადგილობრივი სამღვდელოების დეპუტატი. აღმასრულებელი ორგანოებია სამაზრო საერობო და საგუბერნიო საერობო გამგეობები.

**საარჩევნო უფლებები**

ერობა მესაკუთრეთ თვითმმართველობაა, უფრო კი სოფლის მესაკუთრეთა. მაგრამ ყველა მესაკუთრეს მასში ერთგვარი უფლება არა აქვს. უპირველეს ყოვლისა, ვისაც მეტი შეძლება აქვს, მას მეტი უფლება ენიჭება და ისიც უახლოეს მონაწილეობას ღებულობს ერობაში. ხმოსნის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ქონებრივი ცენზი—მიწა, ანუ უძრავი ქონება. მიწის რაოდენობა სხვა და სხვა გუბერნიებისთვის სხვა და სხვა ნაირია დაწესებული. ზოგს გუბერნიაში მხოლოდ ხუთასი, ექვსასი და მეტი დესეტინა მიწის პატრონი ღებულობს მხოლოდ პირდაპირ მონაწილეობას სამაზრო საერობო კრების ხმოსნების არჩევნებში. მხოლოდ ყირიმში არის დაწესებული 25 დესეტინა საარჩევნო ცენზი. მიწის გარდა, ხმა ენიჭება. ვისაც 15 ათას მანეთად შეფასებული უძრავი ქონება აქვს. ვისაც ამ სრული ცენზის ერთი მეათედი ქონება აქვს, ის არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს წარმომადგენლის საშუალებით, ასეთი პირი სხვებთან ერთად ირჩევს წარმომადგენელს ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

**წოდებრივობა**

მომქმედი საერობო კანონი წოდებრიობით არის გაჟღენთილი. სამაზრო და საგუბერნიო კრებებს თავმჯდომარეობს თავად აზნაურობის წინამძღოლი, ამას გარდა თითქმის რუსეთის ყველა ერობებში უმრავლესობას აზნაურობა შეადგენს და ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ გარდა დიდი საარჩევნო ცენზისა თვით წესი ხმოსნების არჩევნებისა ამ წოდების სასარგებლოა. თავად-აზნაური ამომრჩეველნი შეადგენენ პირველს საარჩევნო კურიას და მთავრობიდან წინასწარად განსაზღვრულ რიცხვს ხმოსნებისას ირჩევენ ცალკე. მეორე საარჩევნო კრებას შეადგენენ ყველა სხვა წოდებების წარმომადგენელნი, გლეხობა კი იკრიბება სასოფლო ყრილობებზედ იქ ცალკე ახდენს არჩევნებს. ამრიგად გლეხობის მონაწილეობა საერობო თვითმმართველობაში მეტად მკრთალია. თვით ვაჭარ-მრეწველთაც არ სწყალობს საერობო კანონი, რომელიც მათს უფლებებს ზღუდავს, რომ მით ერობა დაიცვას, როგორც წმინდა მიწის მესაკუთრეთა თვითმართველობა. მსხვილი მიწის მეპატრონენი არიან სავსებით გაბატონებული ეხლანდელ საერობო მმართველობაში და ამას თითქოს იმით ამართლებენ, რომ გაუნათლებელი გლეხობა ვერ შესძლებს საერობო მუშაობის გაძღოლას. ნამდვილად კი ეს უფრო პოლიტიკური მოსაზრებებით აიხსნება. მთავრობამ საერობო მმართველობის უფლებები მხოლოდ მსხვილ მესაკუთრეთ მიანდო.

**ხ ა ზ ი ნ ა რ ი**

საერობო მუშაობა, რომელიც გამოიხატება გზების, თუ ხიდების გაშენებაში, სკოლების და საავადმყოფოების აგებაში და სხვა, რასაკვირველია სახსარს მოითხოვს. ეს თანხა გროვდება გადასახადების სახით—მიწის და ქალაქის ქონებათა საერობო ბაჟებიდან, მაგარ სასმელის ვაჭრობიდან და სხ. ასეთი გადასახადები ზოგიერთს გუბერნიაში რამოდენიმე მილიონ მანეთს აღწევს და ეს თანხა გადადის საერობო დაწესებულების განკარგულებაში, რომ ადგილობრივ ხალხის ამორჩეულმა პირებმა, ადგილობრივ საჭიროებების ცოდნით აღჭურვილებმა, მოიხმარონ მთელი კუთხის საკეთილდღეოდ.

**კავკასიის ერობა**

საერობო თვითმართველობა ჩვენში დღემდის არ შემოუღიათ და საერობო გადასახადებს, რომელსაც ხალხი იხდის, მთავრობის ჩინოსნები ანაწილებენ და ხარჯავენ თავის ჭკვაზედ. საერობო გადასახადი ჩვენი ქვეყნის (თბილისის და ქუთაისის გუბერნიაშიდ,

ეროვნული გამორჩენა თან ჰყვებოდეს შედეგად ჩვენს თაოსნობას და ჩვენს ჯიბეს. შეგნებულ ქართველს არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ჩვენში გაბატონებული ხელმწიფება და ბიუროკრატია არასოდეს არ ხელმძღვანელობს არც თვის თეორიაში და არც თავის პრაქტიკაში იმ მოსაზრებით, აბა, ამა და ამ ნაბიჯით ქართულ ეროვნულ კულტურას რა ვარგო, აბა საქართველოს ეროვნული სიმდიდრის და მოქალაქობრიობის გამტკიცებას ხელი რანაირად შევუწყოო! იგი ხელმწიფება წარმოშობილია სხვა ერის სხეულისაგან და მისი ერთადერთი, გარდუვალი ორგანიული დანიშნულება და ფუნქცია ის გახლავთ, რომ წარმომშობი ერის განვითარების, გაშლა-გაზრდის მოუკლავ ჟინსა და მოთხოვნილებას ემსახუროს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ფიქცია იქნებოდა, სრული უაზრობა. თუ ამ ხელმწიფებას ჩვენთვის რაიმე სარგებლობა მოუტანია, ეს მომხდარა მხოლოდ არა პირდაპირად და ისეთ შემთხვევაში, და იმდენად, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის სპეციფიური ინტერესი და რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესი ერთი მეორეს შეწყობია. დანარჩენ შემთხვევაში, როგორც რუსის ერისა და ქართველი ერის სახე და შინაარსი თავის თავად სხვადასხვაობს, სწორედ ისე სხვადასხვაობდა რუსეთის ხელმწიფების თეორია და პრაქტიკა ქართველი ერის არსებითი ინტერესისა და მარადიული მისწრაფებისაგან. ეს სხვადასხვაობა ბუნებრივად წარმოშობდა წინააღმდეგობას, რადგანაც აღნიშნული ხელმწიფება თავის გარდუვალი დავალების შესრულების დროს უცხო პირობებსა და ხალხში თავისებურად იქცეოდა, სწორედ ისე როგორც ამას მოითხოვდა მისი წარმომშობი და შემქნელი ერის გაზრდა-განვითარების ინსტიქტი და ლოღიკა. იგი ხელმწიფება ამას ვერ გადაუხვევდა, ვერც ეხლა უხვევს და ვერც ვერასოდეს გადაუხვევს. ეს სრულიად ბუნებრივია. მგვავს პირობებში ყოველგან ყოველთვის ასე ყოფილა. ხოლო ამ წინააღმდეგობაში, როგორც საერთოდ ყოველ წინააღმდეგობაშიც, მარცხდება და იჩაგრება ის, ვინც უფრო სუსტია, ამ შემთხვევაში ჩვენ. აი ასეთი ორგანიული შეურიგებლობა, აი ასეთი კონტრასტი არსებობს ჩვენს ეროვნულ-კულტურულ პოლიტიკურ მიზნებსა და იმ პოლიტიკურ-კულტურულ ეროვნულ იდეალ შორის, რომელსაც ემსახურება აღნიშნული ხელმწიფება. სწორედ ამიტომ, როდესაც ამ ხელმწიფების თაოსნობითა და მისი ბიუჯეტის პარალელად ჩვენი კერძო თაოსნობაცა და თანხაც იხარჯება ერთი და იმავე ტიპის საქმისათვის, უნდა ყოველთვის გათვალისწინებული გვქონდეს აღნიშნული კონტრასტი და ყოველის ღონით ვცდილობდეთ, რომ ეს საქმე ისე გარდავქმნ-გარდმოვქნათ, იმდენად მოვქნათ მოვაჩვენებუროთ, რომ არსებულს პირობებში მაქსიმუმამდე ეროვნული ღირებულების შემქნელ ფაქტორად გადაიქცეს. ამისთვის საჭიროა დიდი ცოდნა, როგორც თავის ქვეყნისა ისე მომქმედი ხელმწიფების ტრადიციის, ბუნებისა, საჭიროა დიდი ფხიზელი ანალიზი გარშემორტყმულ რეალი პირობებისა. სწორედ ასეთ მოქმედებაში გამოითქმება ეროვნული შეგნებისა და ხასიათის სიმტკიცე. ხოლო ამ ხასიათის საქმიანობის გამრავლებით განიზომება ჩვენი ერის გამკლავებითი, წინააღმდეგობითი და, მაშასადამე, საცხოვრებელი ძლიერების ხარისხიც. ქართველი საზოგადოების თაოსნობა და თანხა, რომელიც დღემდის დაიხარჯა კერძო სკოლების გახსნაში ამ თვალსაზრისით დაკარგულ შრომად უნდა ჩაითვალოს. ამ თაოსნობას და საქმიანობას სრული ეროვნული შეუგნებლობის ბეჭედი აზის და მისდევს იმ შაბლონს, რომელიც მთავრობას შეუქმნია თავის პირად სახელმწიფო ინტერესისათვის, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ორგანიულად განსხვავდება, ხოლო რადგანაც იგი შემოსულია მისთვის უცხო ქვეყანაში, ეწინააღმდეგება კიდეც ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მისწრაფებასა და ინტერესს, რის გამო იგი არსებით თავის დღეში ვერ ემსახურება ამ ჩვენს ინტერესს. ხოლო შემთხვევით ათასში ერთხელ მექანიკურად თუ მიუდგება მას. საცა აუცილებლად უნდა დავპირისპირებოდით და ერთმანეთისთვის ზურგი შეგვექცია, იქ ერთმანეთს გადავეჭდეთ და ჩავდექით იმის ნაკვალევში, ვის გზასაც ეროვნულ გადაგვარებისაკენ მივყევართ! უგუნურებით თავის თავის მტრობა ამას იქით ვერ წავა. აუცილებელია ჩვენი კერძო თაოსნობის წარსული მოქმედების რევიზია ამ სფეროში, აუცილებელია ამ შეცდომის გასწორება. გამოფხიზლებულმა ქართველმა საზოგადოებამ ამ საქმეშიც ისე, როგორც სხვებშიაც, უაღრესად ეროვნული მოსაზრებით უნდა იხელმძღვანელოს და თავისი თაოსნობა, თანხა და ძალა-ენერგია ისე უნდა ხარჯოს, რომ ამისგან ქვეყანას მაქსიმუმი ეროვნული ღირებულება და დოვლათი რჩებოდეს.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**გაზეთი „ლოზან“ სწერს: აზრუმის დაცემის შემდეგ ოსმალებმა მთავარი ყურადღება მიაქციეს ჯარების გადმოყვანას კავკასიის ასპარეზზე. სხვა და სხვა ადგილებიდან მათ უკვე მოახერხეს ჯარების დაძვრა და ახლა 11 დივიზია უკვე მიიყვანეს ბრძოლის ველზედო.**

—

**ოსმალების შემოტევამ უნაყოფოდ ჩაიარა. რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ იგინი უკუქცეულ იქმნენ. რუსები წინ მიიწევენ და ბაიბურთს ემუქრებიან.**

—

**ვერდენის შესახებ ორნაირი ცნობა მოდის. ზოგი წყაროები ამტკიცებენ. რომ ფრანგები მხოლოდ მომენტს ელიან საერთო შეტევისათვის.** სამაგიეროდ მეორე მხრივ იმას ამტკიცებენ, რომ ვერდენთან ბრძოლა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოსო.

—

**კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: პირველ მაისობას ბერლინში დიდი არეულობა მოხდა.**

—

**„პრავიტელსტვენი ვესტნიკი“ სწერს: თანდათან მართლდება, რომ ოსმალებს საკმაო მაშველი ჯარები გადმოუყვანიათ კავკასიის ასპარეზზე. მალე ამ მაშველი ჯარის დანაწილებას დაამთავრებენ და მაშინ საერთო შეტევას დაიწყებენ ჩვენ წინაამდეგო.**

—

**ინგლისიდან იწერებიან: გერმანელებმა ნახევარ მილიონ ჯარს და 3000 ზარბაზანს მოუყარეს თავი ინგლისელების წინაამდეგო. ფიქრობენ აქ გერმანელები ფართო ოპერაციის წარმოებას შეუდგებიანო.**

ლ. ჯ.

——

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

**„არმიანსკი ვესტნიკი“-ს აზრით სრულიად უადგილო და ნაადრევი იყო ის აურზაური, რომელიც ასტეხეს სომხებმა აზრუმის აღების გამო. თუ ვის გადაეცემა აზრუმი, ჯერ არავინ იცის. ლაზისტანის ავტონომიის მომხრენი მოითხოვენ, რომ ეს ქალაქი ლაზისტანის საზღვრებში იქმნას შეტანილი.**

—

**ბალტიის ზღვაში საშინელი სროლის ხმა ისმის. ფიქრობენ ალბად გერმანეთის ფლოტს დიდი ალლუმი აქვს გამართული.**

—

**შვეციაში იმის შემდეგ, რაც პარლამენტში ალანდიის კუნძულების შესახებ შეკითხვა შეიტანეს, მოსალოდნელია სამინისტროს გადადგომა. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ახლა შვეციაში ომის მომხრეებმა გაიმარჯვეს.**

—

**რუმინეთმა თავის საზღვრები დაჰკეტა. ხუთშაბათს დაიწყება არაჩვეულებრივი სესია პარლამენტისა. წინა დღით მოხდება ჯარების დათვალიერება.**

—

**არჩევნები ფინლანდიის სეიმში დაიწყება მკათათვეს.**

—

**სულ მოკლე ხანში გამოქვეყნებული იქნება ოსმალეთის და გერმანეთის ახალი ხელშეკრულობა.**

—

**ებრაელთა რაბინებს ჯარში აღარ გაიწვევენ.**

ზ. ვ.

**(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).**

რუსეთის ასპარეზზე, ფრიდრიხშტადტიდან აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლაა.

—

ვერდენის მხრივ მაასის მარცხენა მხარეზე ზარბაზნების ჯოჯოხეთური სროლაა. „304“ სიმაღლესთან გერმანელებმა ფრანგთა სიმაგრეები მიწასთან გაასწორეს, ისე რომ ფრანგები იძულებულნი გახდნენ ადგილები გაენთავისუფლებინათ და უკან დაიხიეს.

—

კავკასიის ასპარეზზე ბაღდადის მიმართულებით სერმალ-ყარსთან მტრის შეტევა მოვიგერიეთ.

—

ვერდენთან გერმანელების ხელ-ახლა შეტევამ ფრანგები გააკვირვა, ესენი ჰფიქრობენ, რომ გერმანელებს მაშველი ჯარი მოუვიდათ.

—

გერმანეთმა დააკმაყოფილა შეერთებულ შტატების მოთხოვნილება, მხოლოდ მოითხოვს, რათა შტატებმა აიძულოს ინგლისი, გერმანეთის ბლოკადა მოხსნას.

—

ირლანდიაში რამდენიმე მეამბოხეს სიკვდილით სასჯელი გადაუწყვიტეს და სისრულეში მოიყვანეს.

# ახალი ამბავი

✦ **სასახლეში.** კვირას 24 აპრილს მეფის ნაცვალთან დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან სადარბაზოდ იყვნენ საქართველოს ეგზარხოსის მეთაურობით მღვდელ-მთავრები ლეონიდი—გურია-სამეგრელოისა, გიორგი—იმერეთისა, ანტონი, გორისა, პიროს—ალავერდისა, გრიგოლი, ბაქოსი და ახლად ნაკურთხი დომიანე ერევნისა, რომელმაც წმ. ნინოს ხატი მიართო მეფის ნაცვალს. დარბაზობის შემდეგ ყველა მღვდელ-მთავარნი მიწვეულ იქმნენ მეფის ნაცვლის მიერ საუზმეზე, რომელზედაც გარდა მეფის ნაცვლისა, მთელი უმაღლესი ოჯახობა დაესწრო.

✦ **თბ. ქართველ ქალთა** საზოგადოება სთხოვს ყველა თამარს, 1 მაისს თამარის დღეს, მობრძანდნენ საჩაიე „ძმურ ნუგეშში“, თავიანთ სტუმრებით თავიანთ სახელწოდების გადასახდელად. ამ საღამოს წმინდა შემოსავალი გადაეცემა ქალთა სემინარიის კომიტეტს.

✦ **ხელდასხმა.** კვირას 24 აპრილს სიონის საკათედრო ტაძარში წირვის წინ არქ. დომიანე ხელდასხმულ იქმნა ერევნის ეპისკოპოსად. კვერთხის გადაცემის დროს საქართველოს ეგზარხოსმა გრძნობიერ სიტყვით მიმართა. ხელდასხმას დაესწრნენ მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, მეუღლე მისი ანასტასია ნიკოლოზის ასული, დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლით მილიცა ნიკოლოზის ასულითა და შვილით დიდ მთავარ რომან პეტრეს ძით.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** მაისის დასაწყისს პეტროგრადს მიემგზავრება.

✦ **ტრაპიზონში** გაემგზავრა ქალაქთა კავშირის დავალებით ა. ს. ბაბოვი იმ რაზმის ხელმძღვანელობის გასაწევად, რომელსაც დავალებული აქვს ობოლთა და უმწეოთ დარჩენილთა მოძებნა ამ მხარეში.

✦ **თბილისში მყოფი** ამ ჟამად ყველა მღვდელმთავრები გუშინ საქართველოს ეგზარხოსთან მიწვეულ იქმნენ სადილზე.

✦ **მტკვრის ადიდება.** დიდი წვიმების გამო მტკვარი ძლიერ აადიდდა. მიღებულია სწრაფი ზომები რიყის ქუჩის და დესიმონოვის მოედნის მცხოვრებთა უზრუნველსაყოფლად წყალდიდობისაგან.

✦ **ლექცია დ. კასრაძისა.** კვირას, 24 აპრილს, „ახალ კლუბის“ დარბაზში ქართულ კულტურის მოყვარე საზოგადოების თაოსნობით ბ-ნ დ. კასრაძემ წაიკითხა ლექცია: „უხელო რაფაელნი და მათი „ცისფერი ყანწები“. ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო. ლექცია მეტად საგულისხმერო გამოდგა, რაც კამათში მონაწილე პირთ დაადასტურეს და მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს ბ-ნი კასრაძე.

✦ **მოსწავლეთა დილა.** 24 აპრილს 12 საათზე, ქართველ ქალთა საზოგადოების ჰრა-კერვის სკოლაში გაიმართა მოსწავლეთა დილა, რომელზედაც მიწვეული იყვნენ მოსწავლეების მშობლებიც. მოსწავლე ქალებმა წარმოსთქვეს რჩეული ლექსები ჩვენი კლასიკებისა და რამდენიმე საეკლესიო და საერო სიმღერები იგალობეს. ამასთანავე დამსწრეთ უჩვენეს მოსწავლეების ნაქსოვ-ნაკერები, რომლებმაც თვალსაჩინოთ დაამტკიცეს, რომ სკოლაში პრაქტიკული სწავლა მშვენივრად არის დაყენებული. ხალხი დიდად ნასიამოვნები 3 საათზე დაიშალა.

✦ **საქალაქო დუქნები.** ქალაქის თვითმართველობა დღეიდან აღებს დუქნებს ვერის დაღმართზე და თუმანოვის პირველ ქუჩაზე. დუქნებში ჯერ-ჯერობით ისყიდება შაქარი, შემდეგში კი აგრეთვე იქნება კარტოფილი, ხახვი, მაკარონი, ფქვილი და სხ.

✦ **ბათომის ქართულ სკოლას** მიმდინარე სამოსწავლო წელს ენკენისთვემდის ინახავს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარი გამგეობა. ენკენისთვიდან-კი სკოლას შეინახავს საზოგადოების ადგილობრივი ბათომის განყოფილება, რომელსაც ამისათვის უკვე მოუპოვებია საკმაო თანხა. წლეულს სკოლის მხოლოდ პირველ განყოფილებაში იყო სწავლა, ენკენისთვიდან მეორე განყოფილებაშიაც ასწავლიან და ამისათვის განყოფილებას გადაუწყვეტია მეორე მასწავლებელი მიიწვიოს, რომელსაც თვიურად 90 მანეთი დაენიშნება ჯამაგირად.

✦ **ნიაღვრები სოფლად.** 23 და 24 აპრილის წვიმებს დიდი ზარალი მიუყენებია საგურამოს რაიონისათვის. მშრალ ხევში მოვარდნილა ნიაღვარი, რომელიც ნაპირებიდან გადასულა და დიდძალი ყანები სულ ერთიან აუოხრებია. ზარალი, როგორც ამბობენ, რამდენიმე ათასი თუმნის იქნება. გარდა ამისა არაგვიც მოდიდებულა და ნაპირებზე ნათესი სიმინდები მოუგლეჯია.

✦ **უნუგეშო მდგომარეობა.** რადგან შაბიამანის ფასი ფუთზე 6—7 თუმნამდე ავიდა, არაგვის ხეობის სოფლები სასოწარკვეთილებამდე მისულან და გადაუწყვეტიათ სრულებით აღარ უწამლონ ვევახებს.

✦ **თავ. ი. დ. გურიელის მკვლელობის გამო.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, თავ. ივ. გურიელი აგრარულ ნიადაგზე არ ყოფილა მოკლული. სოფელი თითონ აღშფოთებულია ამ მკვლელობით და თითონვე ჩარეულა საქმეში მკვლელების აღმოსაჩენად. ამ აზრით სოფელს საგანგებო კომისია აურჩევია, რომელიც დარწმუნებულა, რომ მკვლელობას სრულებით კერძო, პირადი სარგებლობის, ხასიათი აქვს. კომისიას უკვე მიუგნია მკვლელები და მათი წამქეზებლები.

✦ **სასულიერო წოდების წარმომადგენელი.** საქართველოს ეგზარხოსმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პლატონმა სასულიერო წოდების მხრივ თბილისის ქალაქის საბჭოში ხმოსნად დანიშნა ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი კალ. ცინცაძე.

✦ **მამულის შეძენა.** ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგ. წევრთ საგანგებო კრება ჰქონდათ 24 აპრილს და დაადგინეს შეიძინოს საზოგადოებამ 2.000 მანეთად ბ-ნ თაიროვის მამული, ზომით 200 საჟენამდე, რომელიც ქართულ გიმნაზიის ეზოზედ მიდებილია და რომელიც საჭიროა გიმნაზიის ეზოს გასაფართოებლად.

✦ **შემოიტანეს.** თბილისში 22 აპრილს: ფქვილი 5 ვაგ., მარილი 1 ვაგ., შეშა 2 ვაგ., ქვის ნახშირი 1 ვაგ., ყველი 20 ფუთი, წვანილი 65 ფუთი, ხილი 300 ფუთი.

# პატარა ფელეტონი

**„პეტრუშკები“**

რუსის მწერალს გოგოლს თავის უკვდავ „მკვდარ სულებში“ გამოყვანილი ჰყავს ერთი საუცხოვო ტიპი მოსამსახურე პეტრუშკისა.

პეტრუშკამ ანბანი იცოდა. ეს კი ნებას აძლევდა მას თავის თავი განათლებულად ჩაეთვალა და ყველას ზევიდან, ერთგვარ სიბრალულით, გადაეხედნა.

დაჯდებოდა კუთხეში, აიღებდა უსათუოდ სქელ წიგნს და შეუდგებოდა „კითხვას“.

როდესაც წაკითხულ ასოებიდან რაიმე სიტყვა გამოდიოდა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა ხოლმე და გაიძახოდა:

მოლოდეც პეტრუშკა!

თუმცა ჩიჩიკოვი პეტრუშკას ჭკუის პატრონად არ სთვლიდა, მაგრამ მაინც აფასებდა მას, რადგან პეტრუშკის უჭკუობამ ჩიჩიკოვი არა ერთხელ განსაცდელისაგან გადაარჩინა.

რომ ამ ბოლო დროს ფედერალისტთა იდეოლოგია განსაცდელში ჩავარდა—ეს ყველამ უწყის.

ეს იქიდანაც სჩანს, რომ „სახალხო ფურცელმაც“ თავისი „პეტრუშკები“ გაიჩინა, რომელთა დანიშნულებაა ამ იდეოლოგიის გაჭირვებიდან გამოყვანა.

ამას წინად ერთმა ასეთმათაგანმა „პეტრუშკამ“ ყველა წიგნებიდან ყველა დროის ფილოსოფოს-მეცნიერების გვარები ამოკრიფა (აკლდა მარტო ანაკსაგორის, პითაგორის და არხიმედის საზ[illegible] და „საქართველოს“ წინააღმ[illegible]

და თანაც თავმომწონედ გაიფიქრა:

„მოლოდეც პეტრუშკა!“ ჩემისთანა განათლებული კაცი აბა ვის ეყოლებაო?

მაგრამ ეს „პეტრუშკა“ სცდებოდა.

მეორე მისი კოლეგა ბევრად ნიჭიერი გამოდგა.

ბ. თევდორე ღლონტი.

ამ პეტრუშკა მწერალს ასე სჩვევია:

დაიწყობს გვერდზე სქელ-სქელ წიგნებს, მარდათ გადაფურცლავს, ამოსწერს ჭკვიან სიტყვებს, ფრაზებს, ციტატებს (ზოგჯერ თავის გემოვნებისდა მიხედვით შესწორებს) და როდესაც ამ მასალას დააგროვებს შეუდგება წერას რა თემაზედაც მოესურვება.

ერობის საკითხისათვის მას მზადა აქვს ციტატები მეჩნიკოვიდან.

„ტერიტორიალიზმი“-სათვის—შარლ უიდიდან.

კოოპერატიულ კითხვებისათვის—ციტატები ვედეკინდიდან ღ ვაგნერიდან.

ნაციონალიზმის შესახებ—არტურ შნიცლერის წინასწარმეტყველებით გავაკვირვებთ:

მართალია ხანდისხან ეს გვარები გადაერევა ხოლმე და მოყვანილი ციტატები ერთმანეთს შეეხლებიან, მაგრამ მაშინ თვითონ შესთხზავს ამ „ციტატას“, გვერდზე ვარსკვლავს გაუკეთებს და ქვევით მაშინ წაიკითხავთ:

Ibide.

საზოგადოთ ეს ჩვენი „პეტრუშკა“ ibide-ბის დიდი მოთაყვანეა. რადგან უკანასკნელნი თავბრუს ასხამენ მკითხველსა და დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ.

მაგრამ ყველაზე სათაყვანებელი მისი სამეფო—ციფრების სამეფო გახლავთ.

ზედი-ზედ აკოკოლებულ ციფრებს ეს პეტრუშკა უძახის „სტატისტიკას“ და რაკი მას თავის მონოპოლიად სთვლის ამიტომ სრულ თავისუფლებით და თავის სურვილისამებრ ექცევა:

მაგალითად სხვა და სხვა დარგის ციფრებს—ერთში მოათავსებს.

არ მოეწონება გადმოწერილში მეტი ნოლი—წაშლის.

მოეპრიანება—მოუმატებს.

ჩიჩიკოვის პეტრუშკას ახარებდა კითხვის პროცესი.

„სახალხო ფურცლის“ პეტრუშკებს კი წერის პროცესი.

მაგრამ ჩიჩიკოვის პეტრუშკა პატიოსანი „პეტრუშკა“ იყო.

კითხულობდა იმას, რასაც ხედავდა.

„სახალხო ფურცლის“ „პეტრუშკებს“ სწორედ ეს თვისება აკლიათ.

სწერენ და გადმოსწერენ იმაზე და იმასა, რაც არ უნახავთ და არც წაუკითხავთ.

დამერწმუნებით რომ ასეთ „პეტრუშკებისაგან“ ხსნის მოლოდინი მეტად საეჭვოა.

და თუ ეგ „პეტრუშკები“ უკანასკნელი კოზირია ფედერალიზმის იდეოლოგიის კრიზისისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფედერალისტების იდეური საქმიანობა მართლაც სდგას:

„ნაპრალის წინ“.

ეკალი

# ერობის გარშემო

შაბათს საღამოს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გამართა თათბირი, ჩვენს ქვეყანაში ერობის შემოღების შესახებ. კრებაზე მოწვეული იყვნენ ყველა მონაწილენი საერობო თათბირისა, ვინც კი თბილისში იმყოფებოდა. კრებას თავმჯდომარეობდა სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტი **თავ. სუმბათაშვილი.** მოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა საერობო თვითმმართველობის ტიპის შესახებ ბ. **ივ. ივ. ზურაბიშვილმა.** მოხსენებაში განხილული იყო ყველა ის საერობო ერთეულები, რომელიც კი იცის რუსეთში მომქმედმა საერობო კანონმა და აგრეთვე ის ერთეულებიც, რომელნიც წამოყენებულ იქმნენ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის საერობო პროექტში. მომხსენებელმა დაასაბუთა ის აზრი, რომ ვორონცოვის მიერ წამოყენებული, საუბნო, და სრულიად კავკასიის საერთო საერობო ერთეულები იყვნენ კაბინეტური მუშაობის და ერობის გარეშე მდგარ მოსაზრებების ნაყოფი. სამაზრო და საგუბერნიო ერობა კი, რომელნიც აგერ ნახევარი საუკუნე საუცხოვოდ მუშაობენ რუსეთში, სადაც მათ წინააღმდეგ არ ისმის ხმა არც საზოგადოებაში და

სოხუმის, ბათუმის და ზაქათალის ოლქებში) წლიურად ორ მილიონ-ნახევარს ადგენს და ჩვენ რომ თვითმართველობა გვქონოდა ამ ფულს ჩვენს გემოზედ მოვიხმარდით. ერობის ზოგიერთ მიზნებს ჩვენში თავად-აზნაურობა ასრულებდა. თავის ბანკების შემწეობით ინახავდა სკოლებს, დახმარებას უწევდა თეატრს თუ სხვა კულტურულ დაწესებულებას.

საერობო თვითმართველობის საკითხი ჩვენში ნახევარი საუკუნის წინედ აღიძრა. გორის მაზრის აზნაურობამ ეს საკითხი აღძრა სულ ორიოდე წლის შემდეგ, რაც რუსეთში შემოიღეს საერობო თვითმართველობა. ამის შემდეგ აზნაურობას თუ სხვა წოდებებს და დაწესებულებებს არა ერთხელ აღუძრავთ შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წინაშე ერობის შემოღების შესახებ. პირდაპირ თუ არ გაგვიმხელდენ, გვაგრძნობინებდენ—ერობა არ შემოგვაქვს იმიტომ, რომ თქვენ ჯერ არ ხართ ამისთვის საკმაოდ მომზადებულიო. ბოლოს 1905 წ. ამის შესახებ თათბირები მოიწვიეს, მაგრამ იმ დროში ასეთი რამ პატარა რეფორმა ვის დაინტერესებდა, როდესაც ყველა სამოთხის დამკვიდრებას მოელოდა. განმეორებით მოწვეულ იქმნა საერობო თათბირები 1909 წ. მაშინდელ მეფის ნაცვალს გრაფს ვორონცოვ-დაშკოვს ამ თათბირებისთვის შესაფერისი პროექტიც ჰქონდა დამზადებული. ამ პროექტის მიხედვით ჩვენში უნდა შემოეღოთ არა ისეთი ერობა, როგორც რუსეთშია, არამედ სულ სხვა ტიპის. ორი საერობო ერთეულის ნაცვლად—სამაზროსი და საგუბერნიოსი, ვარანცოვს სურდა ხუთი ერთეულის შექმნა. სასოფლო, საუბნო, (საპოლიციო უბანი) სამაზრო, საგუბერნიო და სრულიად კავკასიის. ახალი საერობო და ადმინისტრატიული ერთეულების შექმნას არავითარი საბუთი არ ჰქონდა და შემდგომ გამოირკვა, რომ ეს პროექტი შედგენილი იყო სომხურ საზოგადოების ერთი ნაწილის ზედგავლენით, რომ მით ჩვენს ქვეყანაში გუბერნიების და მაზრების ახალი გადამიჯნა გამოეწვიათ და ქართულ გუბერნიების და მაზრების შემოჭრით მთლიანი სომხური ტერიტორია შეექმნათ. გუბერნიების საერობო თათბირებმა ვარანცოვის პროექტი დაიწუნეს და მიიღეს ის საერობო ერთეულები, რომელნიც რუსეთში მოქმედობს.

**საერობო თათბირი.**

ამ საშინელმა ომმა კიდევ ახალი საბუთი მოგვცა ჩვენს ქვეყანაშიდ ერობის შემოღების საჭიროების აღსანიშნავად. ერობამ დიდი სამსახური გაუწია რუსეთს თვითო ამ ომის დროს, სამსახური წმინდა სამხედრო. მისი მუშაობა-კი შინდით საჭიროა და ჯარის ზურგის გამმაგრებელი. ერობათ სხვა და სხვა სამკურნალო რაზმები მუყაითად მუშაობენ. ამას გარდა საერობო კავშირები აარსებენ ქარხნებს და ფაბრიკებს ისეთ საქონლის დასამმუშავებლად რაც რუსეთს აკლია ჩვენს კარზედ და ჩვენშიდ რომ ერობა გვქონოდა ეს რაზმები იმოქმედებდენ სხვაგან და ჩვენი საერობო დაწესებულებები კი აქ გაჩაღებდენ მუშაობას. ამას გარდა არ ჩავვარდებოდით ასეთს გასაჭირში საკვების თუ სოფლისთვის სხვა საჭირო საქონლის შემოკლებით. ერობა კარგს პატრონობას გაგვიწევდა. მთავრობამ უთუოდ გაითვალისწინა ამ დაწესებულების უაღრესად საჭიროება ჩვენი ქვეყნისთვის და ეხლანდელი საერობო თათბირი, საზოგადოებრივ ძალთა მონაწილეობით გამართული, ამის საბუთია. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ეს თათბირი უკანასკნელი თათბირი იქმნება კავკასიის ერობაზე და ჩვენს კუთხეს აწ მაინც მალე ეღირსება თვითმართველობა, რომელსაც ის ნახევარი საუკუნეა ელოდება. როგორც ირკვევა საერობო თათბირის მუშაობას რუსეთში მომქმედი საერობო კანონი დაედება საფუძვლად. ეს კანონი კი მოავალი ნაკლით არის აღჭურვილი და ზოგი რამ ამ კანონისა ყოველ შემთხვევაშიდ ძირიანად უნდა შეიცვალოს. ეს კანონი რომ საარჩევნო ცენზს აწესებს, რასაკვირველია ჩვენი ქვეყნისთვის შემცირებული იქმნება. მაგრამ საჭიროა მისი იმდენად შემცირება, რომ რაც შეიძლება მეტმა მესაკუთრემ, თუ ყველამ არა, მიიღოს პირდაპირი მონაწილეობა საერობო არჩევნებში. ჩვენს სამშობლოშიდ საერობო მუშაობისთვის საზოგადოების ყველა წრე გამოსადეგი და მომზადებულია. ამას გარდა რუსეთის ერობის წოდებრივი ხასიათი, მისი ადმინისტრაციიდან დამოკიდებულება და მრავალი სხვა ნაკლი საერობო თათბირს თვალწინ გადაეშლება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საერობო კანონში შეიტანენ რაც შეიძლება მეტს ცვლილებებს, ჩვენი ქვეყნის საჭიროებების შესაფერს.

ი.

არც პრესაში და აგრეთვე დაბალი სასოფლო საერობო ერთეული, რომლის შემოღებაც რუსეთში მორიგ საკითხად არის აღიარებული, სავსებით და საუკეთესოდ გაუძლვებიან ჩვენშიდაც იმ საქმეს რომელიც დაეკისრება საერობო თვითმმართველობას. მოხსენებამ მხურვალე კამათი გამოიწვია.

თბილისის ქალაქის მოურავი **ა. ი. ხატისოვი, ი. ე. დოლუხანოვი, ბ. ბერბერიანი** და სხ. ამტკიცებდენ, რომ რუსეთში მომქმედი საერობო კანონი უვარგისია, ამ კანონით იქ უკმაყოფილო არ არიან და ამიტომ ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ისეთი კანონ-პროექტი, როგორიც ჩვენ დაგვაკმაყოფილებსო. სულ ერთია მთავრობას თუ უნდა ერობის მოცემა ჩვენთვის, მაინც მოგვცემსო. თვით საერობო ერთეულებიც უნდა შეცვლილ იქმნან ჩვენი ქვეყნის პირობების სხვა და სხვაობის მიხედვითო. თბილისის და ქუთაისის გუბერნიები თუ მაზრები ერთს ეკონომიურს და ეთნოგრაფიულს მთლიანს რამეს წარმოადგენენ, სამაგიეროდ განჯის, ერევნის და ბაქოს გუბერნიებში ასეთი პირობები არ არის, იქ საზოგადოების ერთი ნაწილი მომზადებულია საერობო მუშაობისთვის, დანარჩენი კი არაო.

**ალი-მარდან-ბეგ ტოფჩიბაშევი** ამას არ ეთანხმება და ამტკიცებს, რომ მოხსენებულს გუბერნიებში მუსულმანები და სომხები ეკონომიურადაც და კულტურულადაც სავსებით ერთგვარ მასსას წარმოადგენენო. ასეთი სხვა და სხვაობა ორატორის აზრით კაბინეტებში შეთხზული აზრია და რეალ ცხოვრებაში კი მას არავითარი საფუძველი არ აქვსო.

**თავ. მ. ვ. მაჩაბელი** აღნიშნავს იმ მოვლენას, რომ ქალაქის და ვაჭარმრეწველთა წოდების წარმომადგენელნი იწუნებენ რუსეთის საერობო კანონს და მათ უკეთესი ერობა უნდათ. უკეთესი ერობა რომ არ მივიღოთ, მათ არა უშავთ რა, რადგან მათ საქალაქო თვითმართველობა აქვთო. სოფელი კი ყოველივე ამას მოკლებულია და მისთვის დღევანდელი ვითარების შეცვლა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს. 1890 წ. საერობო კანონი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, მაგრამ დღევანდელ უერობობას ასეთი ერობა ბევრად სჯობსო. რუსეთშიაც უკმაყოფილო არიან საერობო კანონით, და მის გაუმჯობესებას თხოულობენ და არა მომქმედი ერობის მოსპობას.

მომხსენებელი **ი. ი. ზურაბიშვილი** უპასუხებს ოპონენტებს და აღნიშნავს, რომ კამათი გასცილდა მის მოხსენების ფარგლებს. სამაზრო, საგუბერნიო და წვრილ სასოფლო ერთეულებში უნდა ჩამოყალიბდეს მომავალი ერობა და ყოველივე ახალი ერთეულების შეთხზვა საერობო თვითმმართველობის საჭიროებებიდან სრულებით არ გამომდინარეობსო. კრება ღამის 12 საათზედ დასრულდა.

—

საერობო თათბირის მონაწილენი მიწვეული არიან მეფის ნაცვლის სასახლეში დღეს 26 აპრილს დილის 11 ნახევარ საათზედ. საერობო თათბირი მუშაობას დაიწყებს საღამოს 9 საათზედ.

# დაბა-სოფლები

**გურია.**

წარსული წელიწადი მონაგონიც არ იქნება იმ უბედურებასთან, რომელიც წელს თავს დაატყდება გურიას. უმთავრეს უბედურებას ის წარმოადგენს, რომ, სულ მცირე, ერთი მესამედი მინდვრებისა დაუთესავი რჩება, რადგან მუშა ხელი აღარ მოიპოვება სოფლად და აღარც მუშა საქონელია. ამას ზედ კიდევ ის ერთვის, რომ ვენახების, რომელნიც ამ ბოლო ხანებში არა მცირე შემოსავალს აძლევდა პატრონებს, სრულებით უწამლოდ რჩება; ჩვენში, რაც უნდა ფასი მისცე, არ მოიპოვება არც შაბიამანი და არც გოგირდი და ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით საჭიროა გურიის ვენახებისათვის, რადგან, როგორც ცნობილია, აქ მეტისმეტი სინოტიის გამო იმ თავითვე დიდად არის გაძლიერებული ნაცარი (oidium). ყოველივე ამას ისიც ზედ ერთვის, რომ ბრძოლის ველიდან სახლში ბრუნდებიან დიდძალი დასახიჩრებულნი და სამუდამოდ დაავადმყოფებული მეომარნი, რომელნიც ისედაც ათასგვარ ჭირ-ვარამით დატვირთულ ოჯახებს სარჩენად აწვებიან თავს. ხალხი მართალია გულს არ იტეხს, მაგრამ ეს არსებით თვისება გურულებისა, ჩვეულებად არ აქვთ მათ თავიანთი გაჭირება სხვას შესჩივლონ, თორემ საქართველოს სხვა კუთხეში ასე არავინ იქნება გაჭირებული. ეს ადვილი ასახსნელიც არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ გურულები, ადგილ-მამულის სიცოტავის გამო, სარჩოს გურიის გარეშე შოულობდა, მაგალითად ბათომსა და ფოთში, .და ეხლა კი ვინ არის სხვაგან სამუშაოდ წამსვლელი. ამ გაზაფხულიდან მოსალოდნელია ათასგვარი სენიც, რაიცა უფრო მეტ განსაცდელს უმზადებს ხალხს. ამიტომ გურიის გულშემატკივარნი ეხლავე უნდა შეუდგნენ თადარიგს, რომ ხალხს მეტის მეტი განსაცდელი თავიდან ააშორონ.

—

**ს. უკანეთი** (ქვემო იმერეთი). უკანეთი ერთობ პატარა სოფელია, მაგრამ კოხტა და ლამაზია ადგილმდებარეობით. ამ სოფელში სულ 70 კომლი ითვლება. ქ. ქუთაისზე ექვსი-შვიდი ვერსის მანძილით არის დაშორებული. ქუთაისის სიახლოვეს შესაფერისი გავლენა მოუხდენია ამ პატარა სოფლის მკვიდრზე. აქაური გლეხი შეგნებულად გამოიყურება და დღევანდელი ცხოვრების ჭირ-ვარამი გათვალისწინებული აქვს. უკანეთლებს ნათლად აქვსთ წარმოდგენილი, რომ შავბნელი დღეებისათვის კაცი წინდაწინ უნდა იყოს მომზადებული და თავდაჭერილი ცხოვრებით უნდა უმკლავდებოდეს მას. იმისთანა უთავბოლო ხარჯებს, როგორსაც ზემო იმერეთში ვხედავთ, აქ ადგილი არ აქვს. მიცვალებულის ძველი იმერული წესით გასვენება—რაც ოთხას-ხუთას მანეთ ვალში აგდებს ჭირისუფალს—აქ უკვე კაი ხანია რაც გადავარდნილია. დღესასწაულების გადახდა, თუმცა სავსებით დღემდის ვერ გადაუგდიათ, მაგრამ მისგან გამოწვეული ხარჯები ისე შემოკლებულია, რომ საგრძნობი ზიანი მისგან არავის არ მოსდის, ხალხი მეტად შრომის მოყვარეა. მებოსტნეობა და მეხილეობა სასურველ ნიადაგზეა დაყენებული. ხეხილის ბაღი და ბოსტანი, სხვა და სხვა გვარი მწვანილეულობით სავსე, აუცილებლად ყოველ გლეხს აქვს. მეურნეობის ამ ორი დარგიდან სულ მცირე ოთხას-ხუთას მანეთს მაინც აიღებს აქაური გლეხი. შინ—სახლში სუფთად სცხოვრობს. კულტურული დაწესებულებიდან, მართალია, ჯერჯერობით ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის მეტი არაფერი აქვსთ, მაგრამ ეს ხალხის დაუდევრობას არ მიეწერება. ამგვარ საგანმანათლებლო საქმეებს თავისუფალი ინტელიგენტური ძალა სჭირდება. აი ამ მხრით კი სოფელი უკანეთი დღემდის არასასურველ მდგომარეობაში იყო. ამა მდგომარე წლიდან ადგილობრივი ინტელიგენცია შეერთდა და კულტურული წრე შეადგინეს. ამ წრის მიზანია სოფლელებს გააცნოს ჩვენი ტურფა სამშობლოს წარსული, აწმყო და მომავალი მდგომარეობა. აღნიშნულმა წრემ პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადადგა. ბევრი ჩვენი მგოსნების და თავდადებული მოღვაწეების ცხოვრებას გააცნო ხალხი. მომავალი პირველი მაისისათვის ხსენებული წრე თამარის დღესასწაულს აწყობს, რისთვისაც ენერგიულად ემზადება. სხვათა შორის აღნიშნულ წრეში ერთგულად მუშაობენ სტუდენტი გრიშა დეისაძე და მასწავლებელი ივანე ნუცუბიძე.

**მ. ბუაჩიძე.**

# წერილი რედაქციის მიმართ *)

უმორჩილესად ვთხოვ, თქვენი პატივცემული გაზეთის „საქართველოს“ რედაქციას დაიბეჭდოს ეს წერილი მახლობელ ნომერში.

გაზეთ „თანამედროვე აზრის“ 79, 80 და 83 ნომრებში დაბეჭდილი იყო ორი ცნობა სასტუმროების მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ. ორთავე შენიშვნაში მოხსენებულია ჩემი სახელი. ნათქვამია, ვითომ მე, ნოე სიხარულიძე, დიდი წინააღმდეგი ვიყო სასტუმროს მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ვითომ ერთი მოსამსახურე დამეთხოვოს კიდეც სრულიად უმიზეზოთ და სხვებსაც დათხოვას ვუპირებდე და სხვა.

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ „თანამედროვე აზრი“ მომხრეა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობის და სწორეთ ამიტომ მაქვს იმედი, რომ რედაქცია მომცემს საშუალებას სრულიად გულახდილად მოვახსენო, რა ხდებოდა ჩემს სასტუმროში: საჭიროა რედაქციამაც და მკითხველებმაც გაიგონ, რა ნიადაგზე აღმოცენდა ის ამბავი, რომელიც მოხდა. ამბავი, მართალია სამწუხაროა, მაგრამ მიზეზი თვით ჩემი სასტუმროს მოსამსახურეთა ხელშია და მათ ძლიერ ადვილათ შეუძლიანთ შემდეგში თითონაც აიშორონ და მეც ამაშორონ ყოველივე უსიამოვნება და უკმაყოფილება.

ერთად ერთი მიზეზი უკმაყოფილებისა ჩემს სასტუმროში, გახლდათ ის არა სასიამოვნო მოვლენა, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი არც ერთ სასტუმროში და სახელოსნოში, არც ერთ ქარხანაში და არც რომელიმე სხვა დაწესებულებაში.

აღვნიშნავ მხოლოდ ფაქტებს: მარტის დამლევს ჩემი სასტუმროს ერთს სკამზე ჩამოძინებულს მოსამსახურეს მოჰპარეს 125 მანეთი ფულად. ორი დღის შემდეგ მეორე მოსამსახურეს კიდევ იმ გვარათვე ჩამოძინებულს მოჰპარეს 400 მანეთი ფულად და თამასუქები, მეორე დღეს დამკარგავის საფულე ნახეს კანტორკაში.

ერთ მოსამსახურე პატარა შეგირდს დაეკარგა 18 მანეთი ფულად.

სულ ცოტა ხანში სტუმრებს დაეკარგათ ექვსი წყვილი ფეხსაცმელი. წარმოიდგინეთ სტუმრის გულის წყრომა: დილით სასტუმროში გამოიღვიძეთ, ელოდებით—მოსამსახურე გაწმენდილ ფეხსაცმელს მომიტანსო, ელოდებით, ეძახით მოსამსახურეს გაწმენდილი ფეხსაცმელი შემომიტანეთ, მაგრამ ბოლოს გამოირკვევა, რომ ფეხსაცმელები ვიღაცას ჩაუყლაპავს. ექვსი წყვილი ფეხსაცმელის ღირებულება ანაზღაურებული იქმნა ჩემგან. მაგრამ ანაზღაურებას არ ვჩივი. ვჩივი იმ სირცხვილს, რომელიც მომაყენეს. არა, ერთი ეს მიბრძანეთ ვიღა მოინდომებს იმ სასტუმროში ჩამოხტომას საიდანაც ფეხ-შიშველას გაისტუმრებენ?

კიდევ სამწუხარო ამბები: ორ სტუმარს მედალები დაეკარგა, ერთს კიდევ ხმალი. ყველა ამ შემთხვევაში რაღა თქმა უნდა ფულსაც ვიხდიდი და ყოველთვის სირცხვილსა ვჭამდი.

იყო ასეთი შემთხვევაც: მოიპარეს ფარდები მოქსოვილი, ხავერდის, ბალიშის და მუთაქის პირები, ესენიც ხავერდის იყო. სამჯერ „პადეზდის“ გასაღები მოჰპარეს, იმ „პადიეზდისა“, რომელიც სასტუმროში შესავალია; ამ კარის გასაღების დაკარგვა საშიში არის როგორც ჩემთვის, ისე სტუმრებისთვის.

ამ უსიამოვნებას სხვებიც მოჰყვა იმ გვარი, რომელსაც ვერც ერთი სასტუმროს პატრონი ვერ მოითმენდა და ვერც აიტანდა.

29 იანვარს ერთმა მოსამსახურემ ანგარიშით მიიღო სტუმრისაგან 41 მან. და 30 კაპ. და მოიტანი კასაში 20 მან. 50 კაპ.

მეორე მოსამსახურემ სტუმარს წარუდგინა თავის ხელით შედგენილი ყალბი ანგარიში: 18 მან. 35 კაპ. მაგივრად გადაახდევინა 22 მან. 30 კაპ.

ყველა ეს ანგარიშები და საბუთები ხელთა მაქვს იმ მოსამსახურეთა სახელებს და გვარებს არ ვაცხადებ და არც საჭიროა მგონი მათი სახელების გამომჟღავნება.

მარტის 31-ს ერთმა მოსამსახურემ მოითხოვა სტუმრისათვის „ბუფეტჩიკისაგან“ ერთი ბოთლი ღვინო, ის ბოთლი იმ წამშივე გაჰქრა.

ყოველივე ეს კარგად იციან როგორც უწინდელმა, ისე ეხლანდელმა მოსამსახურეებმა, რადგანაც ამ უსიამოვნო ამბებზე არა ერთხელ ყოფილა ლაპარაკი. ყველანი, უწინდელი და ეხლანდელი მოსამსახურეები შეამოწმებენ შემდეგს: როდესაც მე მოსამსახურეებმა თავიანთი მოთხოვნილება წარმომიდგინეს, მე სრულიად გულწრფელად ვუპასუხე შემდეგი: სრული თანახმა ვარ არა თუ დავაკმაყოფილო და შევასრულო ყველა მუხლი თქვენი მოთხოვნილებისა, არამედ მზათა ვარ დავუმატოთ კიდევ ერთი რამ ზედ მეტი მუხლი მოთხოვნილებისა, მხოლოდ იმ პირობით კი რომ სასტუმროში ქურდობა მოისპოს ერთმანეთში. **ერთმანეთში** იმიტომ ვამბობდი, რომ სწორეთ მოგახსენოთ, როცა ერთ ამხანაგს ჩაძინებულს მოჰპარა ზემოხსენებული ფული და დოკუმენტები. (განა ეს ეჭვს გარეშეა რომ ეს ქურდობა შინაურის ნაქნარია და არა გარეშეს), იყო ასეთი შემთხვევა, როცა შევეკითხე მთელ მოსამსახურეებს, თუ ვის შეეძლო ამ საქმის ჩადენა, შეეძლო თუ არა გარეშე კაცს? ერთხმად მიპასუხეს: გარეშე კაცს არ შეეძლო, ეს აუცილებლივ შინაური კაცის ნამოქმედარიაო. ამის შემდეგ განა ეჭვს გარეშეა, რომ ჩემს სასტუმროში, სადაც აწყვია არა ნაკლები 100.000 მანეთის ავეჯეულობა, ის დღე არ მოილის რაც ჩამოძინებულ მოსამსახურის ფულსა და დოკუმენტებს?

რა გზით უნდა მოსპობილიყო ქურდობა? მე მივეცი მოსამსახურეებს სამი დღის ვადა და ვთხოვე: მომაციღეთ როგორც გნებავთ გინდ აშკარად და გინდ ფარული კენჭის ყრით ის მავნე ამხანაგები, რომლებიც სასტუმროსაც და თავიანთ ამხანაგებსაც არცხვენენ მეთქი.

რაღა თავი მოგაწყინოთ ჩემმა ცდამ და მეცადინეობამ ჯერ-ჯერობით უნაყოფოთ ჩაიარა.

გათავდა გაფიცვა, მე და მოსამსახურეები მოვრიგდით. სულ არ გაუვლია რამდენიმე დღეს და კიდევ მოხდა შემდეგი უსიამოვნო ამბავი.

ერთმა მოსამსახურეთაგანმა მიართვა სტუმარს 23 მ. ღირებული ვახშამი. სტუმარს მიუცია 50 მანეთიანი. ელოდება ხურდას, მაგრამ იმ დღეს ვერ ეღირსა. მეორე დღეს სტუმრის სამართლიან გაწყრომასა და მუქარას საზღვარი არა ჰქონდა. იმუქრებოდა: სასტუმროს დავაკეტინებო. პატივცემული რედაქცია დამეთანხმება, რომ ასეთი შემთხვევა ჩირქსა სცხებს სასტუმროსაც და მოსამსახურეებსაც და არას გზით მოსათმენი და შესაწყნარებელი არ არის. დამნაშავე მოსამსახურე თვითონ გამოტყდა სტუმრის წინაშე და სასტუმროდან წავიდა. მის გვარსა და სახელს არ ვასახელებ. ღმერთსა ვსთხოვ ამიერიდგან მაინც დაიშალოს ისეთი საქციელი. ამ მოსამსახურეს ჩემთან ჰქონდა 100 მანეთი. გროში არ გამომირიცხავს. ეს ფული გადავეცი მის ამხანაგებს, რომ თუ რამე ანგარიში ჰქონდათ, გაესწორებიათ და თუ რაც მორჩებოდა შეეწირა ომისაგან დაზარალებულ აჭარლების სასარგებლოთ. ყველა მოსამსახურეებს მიღებისთანავე წინადადება ეძლევათ: თუ ქურდობისა ან და რაიმე სამარცხვინო საქციელისთვის დაითხოვენ, იმ შემთხვევაში მისი შემოტანილი ფული გადაეცემა მის ამხანაგებს, რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულების სასარგებლოთ.

უმიზეზოდ მსახურის დათხოვა როგორ შეიძლება, განა ჩემთვის სულ ერთი არ არის, ივანე იმუშავებს თუ პეტრე, თუ ის სპეტაკი ადამიანი იქნება?!

მგონია რედაქციაც და გაზეთის მკითხველებიც დამეთანხმებიან, რომ ის მოსამსახურე, რომელიც ასე მოიქცა თვითონ რომ არ წასულიყო დასათხოვნი იყო.

თქვენს გაზეთში სწერია: ნოე სიხარულიძემ „უმიზეზოთ“ დაითხოვა მოსამსახურეო. განა ის მიზეზები, რომელიც ზემოდ ჩამოვთვალე, საკმარისი არ არის რომ დამნაშავე სამსახურიდგან იქნას დათხოვნილი? ან განა კიდევ სხვა გზა არის გარდა პოლიციისა და სასამართლოსი? უნდა მოგახსენოთ, რომ უკანასკნელი სასურველი არ არის, მაგრამ სასამართლოში ერთი საქმე მაინც სწარმოებს საუბედუროდ საქმემ ისე მოიტანა, რომ ჩვენს სასტუმროში მოპარული ნივთები—12 დანა, ამდენივე ჩანგალი და კოვზი ნახეს. მთაწმინდის უბნის ერთ სახლში. რომელიც ჩემს სასტუმროში მსახურს მიუბარებია. რა გზას უნდა მიმართოს პატრონმა, როცა აშკარად ხედავს დანაშაულს? ჯარიმა გადაახდევინოს დამნაშავეს?

არც ეს არის ყოველთვის სასურველი. ვიწვევ ყველა ჩემს უწინდელ და ეხლანდელ მოსამსახურეებს მოწმებათ. ყველანი დაამოწმებენ რომ ჩემს სასტუმროში დაჯარიმება ძლიერ იშვიათია და თუ ვინმე დავაჯარიმე აშკარა დანაშაულისათვის, ის ფული ან რამდენიმე დღის შემდეგ უკან დამიბრუნებია და ან კიდევ მითქვამს დაჯარიმებულისთვის ფული საქველ-მოქმედო საზოგადოებას მიუტანე და მე კი მხოლოდ კვიტანცია მიჩვენე. და ერთხელ სასტიკ დანაშაულისათვის მოსამსახურე დავაჯარიმე სხვებისათვის რომ სამაგალითო ყოფილიყო—25 მანეთით, მაგრამ მეორე დღესვე ის ფული ისევ დავუბრუნე. მეორე, ერთი თვით დავითხოვე მაგრამ მესამე დღესვე მივიღე.

**ნ. გ. სიხარულიძე.**

(დასასრული იქნება)

*) ეს წერილი „თანამედროვე აზრის“ რედაქციას გაუგზავნე და ვთხოვდი დაებეჭდა. სამართალი მოითხოვდა მის მკითხველებს მეორე მხრისათვისაც მოესმინათ, რომ საქმის ვითარება უფრო ნათლად წარმოედგინათ, მაგრამ პატივცემულმა რედაქციამ არ ინება ამის დაბეჭდვა.

**ნ. გ. სიხარულიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა** შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la Croix Rouge.
Agence des prisonniers de guerre Genève.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.
(დრო ნაჩვენებია ტფილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. | წ. | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . | 8.53 | საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | . | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . | 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . | 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . | 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა
(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე ხვარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | ს. | წ. | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | ს. | წ. | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ | 16 „ | „ |


# გამოსადეგი ცნობა

კავკასიის სამკურნალო ადგილების
## ცნობის მიმცემი ბიურო
(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

**გამართულია ხელის მოწერა**

# კიკნა-ფშაველის

**პოემების და ლექსების კრებულზე,** რომელსაც დაერთვის ბიოგრაფია-წინასიტყვაობა და **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილით.
**წიგნი ეღირება ათ შაურად.**

**ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია**
# „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

**წიგნის მაღაზია**
# „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. მეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.